სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასისტენტ-პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული, „გ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 6 აგვისტოს №172/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №52/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№ 4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი „1“ ოქტომბერი 2025 წ.

17:00 საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია № 226

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5-ვე წევრი:

ზურაბ ბარათაშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

მერი ნიკოლაიშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

თინათინ ბოლქვაძე – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

რევაზ აბაშია – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ეთერ სოსელია – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასისტენტ-პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული, „გ“

კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება;

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ზურაბ ბარათაშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორის** („გ“ კატეგორია) 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 3-მა კანდიდატმა – ეკატერინე ახვლედიანმა, ნათია კენჭიაშვილმა და ანა ჩუტკერაშვილმა.

საკონკურსო კომისიის მიმღები აპარატისგან კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციით (კერძოდ, სამი კონკურსანტის პაკეტების) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს სამივე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ეკატერინე ახვლედიანმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს“; მისი კვალიფიკაცია შეესაბამება აღმოსავლეთმცოდნეობის და/ან თარგმანმცოდნეობის პროგრამებით და კურიკულუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კონკურსანტის შეფასების ფორმის პირველი კატეგორიის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში კონკურსანტი აღარ ფასდება მომდევნო კატეგორიების მიხედვით. აქედან გამომდინარე, საკონკურსო კომისიის ხუთივე წევრის გადაწყვეტილებით, კონკურსანტი **ეკატერინე ახვლედიანი** ვერ გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრებაზე);

ანა ჩუტკერაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა)

მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე ჩართულია საკონკურსო პროფილის ზოგიერთი სასწავლო კურსის განხორციელებაში. კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს და ასახელებს საგნებს, რომლებიც თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროგრამით და კურიკულუმით არის გათვალისწინებული და აქვს წაკითხვის გამოცდილება. წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსი ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და სიახლეების შემოტანა ქართულ ენათმეცნიერებაში (განსაკუთრებით, კომპიუტერულ ლინგვისტიკასა და ბუნებრივი ენის დამუშავებაში) ხელს შეუწყობს თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური მიმართულების განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ მისი პუბლიკაციებით სამი სტატია იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში არის დაბეჭდილი, დანარჩენი კი – სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ჟურნალში. ნაშრომები შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. წარმოდგენილი მასალის მიხედვით, მისი ციტირების ინდექსია 3 (სამი).

აქვს უცხოეთის ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილება. მონაწილეობს რეგულარულად საერთაშორისო კონფერენციებში, თანაორგანიზატორია „ლოგიკის, ენისა და კომპიუტერიზაციის" საერთაშორისო სიმპოზიუმისა (რომელსაც ხელმძღვანელობენ ამსტერდამისა და დიუსელდორფის შესაბამისი პროფილის პროფესორები), რომელიც 1995 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ ტარდება მხოლოდ საქართველოში. კონკურსანტის სამეცნიერო დონე და კონტაქტები საზღვარგარეთელ კოლეგებთან ხელს შეუწყობს თსუ-ს საერთაშორისო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში კარგად გამოჭკვეთა საკონკურსო პროფილი და მსჯელობს, რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში (განსაკუთრებით კომპიუტერულ ლინგვისტიკასა და ბუნებრივი ენის დამუშავებაში დეტალურად იხილეთ ოქმი № 2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა").

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს საკონკურსო პროფილის საფაკულტეტო და ზოგიერთი სხვა სასწავლო კურსის გაძღოლის რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება. არის მიზანდასახული და აქვს სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც შეესაბამება საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-

სამეცნიერო პროფილს. არის ჩამოყალიბებული მეცნიერი თავისი აკადემიური ღირებულებებით. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს (იხ. ოქმი № 2).

ნათია კენჭიაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ზოგიერთი საგანი, რომელიც მან დაასახელა (აკადემიური წერა, ციფრული ჰუმანიტარია, კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკოგრაფია, რიტორიკის შესავალი), არ არის გათვალისწინებული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროგრამით და კურიკულუმით და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გამოცხადებული საგნებია. მაგრამ ასევე გათვალისწინებული იყო მისი რამდენიმეწლიანი სამუშაო გამოცდილება. როგორც კონკურსანტმა წარადგინა, მას უჭირავს ორ სხვადასხვა უნივერსიტეტში აკადემიური პოზიცია, შესაბამისად, აქვს სწავლების გამოცდილება.

კონკურსანტთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ აქვს სამეცნიერო-კვლევით გეგმა, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფილს (კორპუსის ლინგვისტიკის მიმართულება შეესაბამება, ხოლო რიტორიკის მიმართულება სხვა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიმართულებაა).

კონკურსანტის დაბეჭდილი პუბლიკაციებიდან არცერთი არ არის იმპაქტფაქტორიან ჟურნალში, მაგრამ არის საერთაშორისო და ადგილობრივ რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში. მაგრამ აღსანიშნავის ისიც, რომ გასაუბრების დროს კონკურსანტმა გამოამჟღავნა მზაობა საერთაშორისო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებისა. ასევე, კონკურსანტი ჩართულია სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, აქტიურად მუშაობს თავის საკვლევ თემებზე და ასევე აქტიურად წარადგენს მათ აუდიტორიის წინაშე. დისერტაციის მიხედვით გამოცემული აქვს ერთი მონოგრაფია. არ აქვს ციტირების ინდექსი.

აქვს უცხოეთის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან გამოცდილება ენობრივი კორპუსის მომზადების მიმართულებით. კონკურსანტის სამეცნიერო დონე და კონტაქტები საზღვარგარეთელ კოლეგებთან ხელს შეუწყობს თსუ-ს საერთაშორისო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში გამოკვეთილი აქვს თავისი ინტერესის სფეროები, რა მიმართულებით შეუძლია წვლილის შეტანა, რაც ნაწილობრივ ემთხვევა საკონკურსო პროფილს კორპუსის ლინგვისტიკის მიმართულებით. მიუხედავად ნაწილობრივი დამთხვევისა, კონკურსანტს კარგად აქვს განსაზღვრული გეგმა და მიზნები, რა პროექტებსა თუ სამეცნიერო კვლევებს განახორციელებს სამომავლოდ.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს საკონკურსო პროფილის საფაკულტეტო სასწავლო კურსის გაძღოლის რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება. არის მიზანდასახული და აქვს სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება (მხოლოდ კორპუსის ლინგვისტიკის მიმართულებით) საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილს. არის მზარდი მეცნიერი თავისი აკადემიური ღირებულებებით. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს (იხ. ოქმი № 2).

კენჭი ეყარა:

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის კომისიის **3-მა (სამმა)** წევრმა დაუჭირა მხარი ანა ჩუტკერაშვილის კანდიდატურას. კომისიის **2-მა (ორმა) წევრმა** დაუჭირა მხარი ნათია კენჭიაშვილის კანდიდატურას.

ანა ჩუტკერაშვილმა აკადემიური გამოცდილების, ღრმა პროფესიონალიზმის, უცხოელ კოლეგებთან კონტაქტების, იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისა და წარმოდგენილი სილაბუსის (რაც სრულად შეესაბამება გამოცხადებულ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობას) გათვალისწინებით გაიმარჯვა ერთი ხმის უპირატესობით.

დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასისტენტ-პროფესორის („გ“ კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად 3 (სამი) ხმით 2-ის (ორის) წინააღმდეგ გამოვლინდა **ანა ჩუტკერაშვილი;**
2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:		/ზურაბ ბარათაშვილი/
მოადგილე:		/მერი ნიკოლაიშვილი/
კომისიის მდივანი:		/თინათინ ბოლქვაძე/
წევრები:		/ეთერ სოსელია/
		/რევაზ აბაშია/

1.10.2025